

სასოფლო გაზეთი



გაზეთის ფასი:

თბილისში	ბაზუზავენელათ:
გარეშე ადგილებში:	მან.
თის წლისა — 4 მან.	— 3
გერის წლისა — 3 —	— 2
ის თვისა — 1 მ. 50 კ.	— 1 მ.

პირველი წელიწადი

ბამოლის შაბათობით.

ხელის-მოწერა მიიღება:

თბილისის „სასოფლო გაზეთის“ რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში, ხანის ქუჩაზედ, თ. ბებუთოვის სახლში, პოლიციის გვერდით. თბილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: ВЪ Тифлисъ, въ контору редакци „СЕЛЬСКОЙ ГАЗЕТЫ“, при типографіи Меликова и К-о.

შოველ გვარი განცხადებანი სასოფლო სასამართლოებისა და აგრეთვე გლეხებისა დაიბეჭდება უფასოთ, და უნდა გამოიგზავნოს გაზეთის კანტორაში, რომელიც იმყოფება თბილისში, მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში.

№ 8. შაბათი.

II.

3 მაისს 1869 წ.

შინაარსი:

მეყველებთ ამხანაგობა. — შაშა — მწყემსობულეს არაკი. — სადგომის და ადგილის მდებარეობა გავლენა. — საექიმო ცნობები. — სამეურნეო ცნობები. — სავაჭრო ცნობები. — ლექსი. — ძეგლობითი განცხადება.

მეყველებთ ამხანაგობა.

ჩვენში ყველას გაგონება, მგონია, ის ძველი არაკი, რომელიც ერთ ბრძენ მეფეზეა ნაკლები: სიკვდილის წინ ამ მეფემ დარიგების მიცემათ მოიხმო თურმე თავის თორმეტი ვაჟი; მოატანია თორმეტი ლერწამის ჯოხი და თხრა შეიღებს: „წელა აბა მიყურეთ, შეიღებო; მე დავიჭერ ხელში ჯერ თორმეტს ჯოხს და ვეცდები ყველა ერთად გარდავტყუო; ხომ ხედავთ, რომ, თუმცა ძალიან ვეცდები, მაგრამ მაინცა ვერ შევიძელი. მხლა, ვეცდები, იქნება თითო თითოდ გაცალკეეული დავტყუო ეს ლერწამის ჯოხები; ხედავთ! ახლა ერთი, მეორე, მესამე და სხვებიც. — გაცალკეეული ყველა დავტყუებ და როცა ერთად იყვნენ, მაშინ კი ვერც ერთს ვერა დავაჯლე რა. — ძაცების საქმეც ესეთია, შეიღებები; თუ ისინი თანხმობით იქნებიან ურთიერთ შორის და მჭიდროდ მიეკავშირებიან ერთმანეთს, მაშინ, დამიჯერეთ, ვერაფერი მტერი იმათ ვერ ავნებს; და თუ ისინი გაცალკეეულდნენ, მარტო თავის თავის სარგებლობი-

სათვის დაიწყეს ზრუნვა, და არ მოეხმარენ ერთმანეთს, მაშინ კი უსათუოდ ყველას ცალკე-ცალკე დაეცემა მტერი და ყველას დაიმორჩილებს. ამას ისტორიაშიაც კი ამოიკითხავდით; როცა რომელიმე ერთი ერთგულად და ერთსულად დახდომია მტერსა, ყოველთვის გაუმარჯვნია ხოლმე და დაუცავს მამული; და როცა მათ შორის გაჩენილა უთანხმოება და შური, ყოველთვის ისინი დამარცხებულან და მამულის მტერს გაუმარჯვნია. — მსაა, ჩემო საყვარელო შეიღებო, ჩემი უკანასკნელი თხოვნა და დარიგება: იცხოვრეთ ძმურად, თანხმობით, ნუ იქონიებთ შურს და უკმაყოფილებას და მტერი, ხუთჯერ თქვენზე ძლიერიც რომ იყოს, ვერ მოგერევთ თქვენ.“

რა კარგი იქნებოდა, რომ ეს ბრძნული სიტყვები მუდამ გვახსოვდეს ჩვენ და ამ დარიგებისათნავე ვიქცეოდეთ! რა კარგი იქნება, რომ ჩვენ ერთმანეთში უფრო მეტი თანხმობა და ძმური სიყვარული გვექონდეს! ბოლოვს, რომ თვითეული ჩვენთაგანი არ ამბობდეს, რომ მე კი კარგათ ვიყო და სხვებს მეხიც დაცემიათ, არ მენადვლებო!... ჩვენ უნდა გვესმოდეს, რომ სხვისი სიკეთე — ჩვენი სიკეთეა, რომ თუ სხვებთ უჭირსთ ცხოვრება, მაშინ ჩვენც გავგიჭირდება და თუ სხვები ჩვენი თანამემამულეები აღსავსე არიან სიკეთით, პატიოსნობით, კეთილდღეობით და სიმდიდრით, მაშინ ჩვენც კმაყოფილი ვიქნებით ჩვენი ცხოვრებითა და ბედნიერთადაც ჩავრაცნთ ჩვენს თავსა. — უცხო ქვეყნებში კარგათ იცნეს ეს ჭეშმარიტება, თუმც იქაც არის ჯერ შუ-

რი და ჯიბრობა; მაგრამ იმას კი მიხედენ ეხლა, რომ თანხმობით და შეერთებული შრომით საქმის წაყვანა ძლიერ სასარგებლოა მათთვის; ბევრია ისეთი საქმეები, რომ გაცალკეეებულმა კაცმა რომ მოჰკიდოს ხელი წაგების მცეს-ვერაფერს სარგებლობას ვერ ნახავს; და თუ რამდენიმე კაცი შეერთდა ერთად რომელიმე საქმისათვის და ყველამ მოჰკიდა თანხმობით ხელი, მაშინ ისევე საქმე ძლიერ სასარგებლოდ დარჩება ყველასათვის თვითთვეულად. მს ჭეშმარიტება რა უფრო ნათლად გიჩვენოთ და უკეთ გაგაგებინოთ, მე მოვიყვან ერთ ძლიერ შესანიშნავ მაგალითს; ეს მაგალითი დავგიმტკიცებ ჩვენ — რა შეუძლია შეერთებულ შრომასა და რამდენი სარგებლობა შეუძლია იმას მოიტანოს, თუ კარგათ და თადარიგინად დაიჭერს კაცი საქმეს. —

მოხი წელიწადია მას აქეთ, რაც ერთმა ყმაწვილმა კაცმა უ. შერესჩაგინმა გაათავა სწავლა უნივერსიტეტში და დაბრუნდა თავის სამშობლო ქვეყანაში-ნოვგოროდის გუბერნიაში, სადაც ის დანიშნეს მომრიგებელ მოშუამდგომელად. (მიროვოი პოსრედნიკი) უ. შერესჩაგინმა კარგათ გაიცნო იქაური გლეხების ყოფა-ცხოვრება და მეურნეობა, რადგან ის მუდამ იმათთან იყო და მათთან ეჭირა საქმე. შანსაკუთრებითი ყურადღება მიაქცია იმან გლეხების პირუტყვს, რომლებსაც ძლიერ ცოტა სარგებლობა მოჰქონდა მათთვის; გლეხები სარგებლობდნენ მარტო პირუტყვის ნებისით და ხორციითა, რძეს კი თითქმის არაფერი სარგებლობა არ მოჰქონდა. მე-



რესჩაგინმა იფიქრა, მთელი სოფლის ფურცლისა რძე რო შეაერთოს კაცმა და დაიწყოს ყველისა და ერბოს მზადება, უქვევლია ეს საქმე დიდ სარგებლობას მოუტანს სოფელსაო, მაშინ როდესაც ეხლა რძე თითქმის ტყუილად ფუტკდებაო. იმას უნდოდა გაეწყოს სოფლებში „მეყველებთ ამხანაგობა“ (Артельная сыроварня); ამისათვის იმას, რასაკვირველია, ჯერ თვითონ უნდა დაესწავლა ეს საქმე რიგიანათ. უ. შერესჩაგინმა დასტოვა სამსახური და ამ საქმისათვის წავიდა სამზღვარს გარეთ—შვეიცარიაში, სადაც ყველის კეთება ძლიერ კარგათ იციან და სადაც ბევრი მეყველებთ ამხანაგობაებაც არის. მივიდა ერთ ქალაქში და დადგა უბრალო მუშათ საყველე ქარხანაში. იქ უ. შერესჩაგინი ისე გულ-მოდგინეთ მუშაობდა, რომ ცოტა ხნის განმავლობაში თითონ შეიქნა ამ საქმის ოსტატათ. იქაურ სოფლებში ამ რიგ ამხანაგობაებთ იმოდენი შემოსავალი ჰქონდათ და ისე კარგათ მისდიოდათ საქმე, რომ უ. შერესჩაგინი დარწმუნდა, რომ ეს საქმე რუსეთშიაც კარგათ უნდა წავიდესო. შემდეგ ის მივიდა პეტერბურგში და იქაური „მკონომიური საზოგადოების“ შემწევობით შეუდგა საქმეს; მკონომიურმა საზოგადოებამ უ. შერესჩაგინი ვალდებული გახადა რომ, 1) ესწავლებია ყველის მზადება ყველასთვის, ვინც კი ისურვებს; 2) იმას უნდა გაეწყოს მეყველებთ ამხანაგობაები ტვერის გუბერნიაში და 3) უნდა მოენახა საშუალება იქაურ ქარხანებში გაკეთებული ყველისა და ერბოს გასაღებისა. უ. შერესჩაგინი დაბრუნდა ნოვგოროდში და სთხოვა იქაურ მებატონეებთ, რომ მიეცათ მისთვის ნება მათ მამულში საყველე ქარხანის გაკეთებისა; მაგრამ, რადგან ეს საქმე ჯერ ახალი და გამოუცდელი იყო რუსეთში, თითქმის ყველამ უარი უთხრა.—ბოლოს როგორც იყო უფ. შერესჩაგინმა დაარწმუნა ერთი ტვერის გუბერნიის მებატონე—თ. შახოვსკოი, რომელმაც მისცა მას ნება, ეს საქმე მისს მამულში—ოტროკოვიჩში—გამოეცადნა.—შერესჩაგინმა მიჰმართა ეხლა გლეხებს, აუხსნა მათ-რა არის და რამდენ სარგებლობას მოუტანს მათ მეყველებთ ამხანაგობის გამართვა და სთხოვა, რომ მთელი სოფლის ფურცების რძისათვის მოეყარად ერთად თავი და ერთად დაეწყოს ყველისა და ერბოს კეთება; მაგრამ გლეხებმა გარდაყვეტილი უარი უთხრეს, ჩვენ მაგისთანა საქ-

მეში არ გავერვიეთო და ძლიერ იტვიანად უყურებდენ ჯერ-ჯერობით ამ საქმეს. მაშინ შერესჩაგინი, მისი ცოლი და ერთი მისი ცოლის ნათესავი ქალი თითონ შეუდგენ ამ საქმეს. ისინი ყიდულობდენ ხოლმე ამ გლეხებიდან რძესა, აკეთებდენ მშენიერ ყველსა და ერბოს და კარგათაც ასაღებდენ; გლეხებმა რომ ნახეს-რა კარგათ მიდის საქმე და რომ კარგი შემოსავალი აქვს შერესჩაგინს, ნანება დაიწყეს, რატო არ დავეთანხმენითო, სარგებლობა გვექნებოდაო. რძის გასაღება ძალიან იამათ გლეხებს და ერთი მეორის ჯიბრობით უკლებდენ ხოლმე ფასსა. შერესჩაგინმა აი რანაირი ოსტატობა იხმარა: ლიტრა რძეს ჰყიდულობდა ჯერ ათ შაურათა, შემდეგ აბაზად და მერე უთხრა გლეხებს, ვინც ორ შაურად მომცემს, მისგან ვიყიდიო. გლეხებმა დაუწყეს შერესჩაგინს ყველება: „შენ არ გვეუბნებოდი—რომ თქვენ სასარგებლოდ მინდა ამის გაკეთებაო; ეხლა კი შენ თითქმის უფასოთ გინდა იყიდიო ჩვენგან რძეო, ეუბნებოდნენ გლეხები. შერესჩაგინმა უთხრა იმათ, რომ „თუ გსურთ, ეხლაც მოქცემთ ამ ქარხანას და ყველის საკეთებელ მოწყობილობასაცაო; მაშინ, რაც მე მაქვს ეხლა მოგება, სულ თქვენი იქნება“. გლეხები ძლიერ გააკვირვა ამ სიტყვებმა: ერთის მხრით უნდოდათ ამისთანა სასარგებლო საქმის ხელის მოკიდება, მაგრამ მეორე მხრით იტვიანობდენ და ეშინოდათ კიდევ; ისინი ჰფიქრობდენ, აბა რათ ჰზრუნავს ჩვენთვის შერესჩაგინი, თუ რამ არა ჰქონდეს სახეში. მაღამაც გააგდო ხმა, რომ შერესჩაგინი ჩინოვნიკიო და თქვენი მოტყუილება უნდაო; როგორც მოჰკიდებთ ამ საქმეს ხელს იმ წამს ფურის ხარჯს დაგადებნო და სხვ. ამ ხმებმა შეაშინა გლეხები. მაგრამ ცოტ-ცოტათა გაიცივნეს იმათ შერესჩაგინი და თითონ დარწმუნდენ, რომ ის პატროსანი კაცია და მართლა მათი სარგებლობისათვის ჰზრუნავს; შემდეგ დაეთანხმენ შერესჩაგინს, მოჰკიდეს ხელი საყველე ქარხანას და თითონ შეუდგენ ამ საქმეს.—

ამ რიგათ დაარსდა რუსეთში, უ. შერესჩაგინის მეცადინეობით, პირველი მეყველებთ ამხანაგობა. ეხლა თორმეტია ამისთანა ამხანაგობაები; ზოგს მარტო გლეხები შეადგენენ, ზოგში მღვდლებიც და მებატონეებიც ურევიათ. შევლაზე უკეთესი და მეტი სარგებლის

მომტანი მეყველებთ ამხანაგობა გვეყენებოდა. შერესჩაგინმა სოფ. მილოგოსჩინში (ტვერის გუბერნიაში, მოლვის ნაპირას).


აქაური საყველე ქარხანა არის ერთი უბრალო ხუთ-ოთახიანი სახლი: ერთ ოთახში ყველს აკეთებენ, სარდაფში—ინახვენ გაკეთებულ ყველსა და ერბოს, მესამეში რძეს აყენებენ და სხვა ორ ოთახში ორი ყველის მკეთებელი ოსტატები დგანან. ამ ქარხანებში მოაქვთ მარტო საღამოს გამოწვევლი რძე; დილანდელს კი თვითონ გლეხები ხმარობენ ოჯახში.

საღამოს ცხრა საათზე ძლიერ კარგი დასახლება ეს ქარხანა; ამ დროს აქ მოაქვთ დედაკაცებთ ლიტრებით ახალ გამოწვევლილი რძე და აძლევენ რძის მიმღებს ასაწონად; ის ერთ წამში ასწონის და ცარიელ სარძეო ლიტრას დაუბრუნებს პატრონსა. ან გარიშის ჩასაწერად, თუ ვის, ან როდეს-რამდენი რძე მოუტანია, ქარხანაში აქვთ წიგნი ამას გარდა ყველა ამ ამხანაგობის წევრებსაც აქვთ თითო წიგნი, რომელშიაც რძის მიმღები თავის ხელითა სწერს—როდეს და რამდენი რძე მოიტანა იმან. რძეს დაასხმენ დიდრონ გობებზედ და დასდგამენ ხოლმე მეორე დილაში სარდაფში. მეორე დღეს ნაღებს მოართმევენ და ჩაასხმენ ცალკე კარებში; ნაღებიდან აკეთებენ ერბოსა და ნაღების შემდეგ დანარჩენ რძესა ჩაასხმენ ხოლმე ერთ დიდ ქებაში; აქედან კეთდება ყველი.

ამ ამხანაგობაში გაკეთებული ყველი ერთობ ავერად სჯობია თითქმის სამზღვარ გარეთის ყველსა და ერბოსა. ახლა პეტერბურგში ძლიერ კარგათ და ბევრიც იყიდება გაკეთებული ყველი და ერბოცა. ამბობენ რომ წელს გზავნის ამხანაგობა სამზღვარს გარე გასაყიდათ ორასს კასრს მარტო ერბოსა.—

თორმეტია აქ გაკეთებული ნაღების ერბო იყიდება ექვს შაურად. აქ გაკეთებული ყველი, რადგან რასაკვირველია უფრო იაფია კარგით, ძლიერ ბევრი გადის ხოლმე, მაგალითად, სასწავლებლებში; ღარიბი ხალხიც გადის კმაყოფილებით ყიდულობს ამ ყველს.

თითო ძროხის პატრონს აქვს ყოველთვეში თორმეტ მანეთამდე შემოსავალი, რომ წელიწადში ერთი ძროხის პატრონს მარტო რძიდან შემოუყვაროდა ათი მანეთი ინცა. რაც უფრო ბევრი ძროხებია, ის სჯობია; ასე ძროხის რძე რომ ერთად ამუშა-



მინ ორმოც მანეთზე მეტიც შეიძლება შესაფალი ჰქონდეს ყოველ ამხანაგობის წევრსა.—

რასაკვირველია ამისთანა მეყველებით ამხანაგობები ყოველგან არ შეიძლება შესდგეს, რადგან ყოველგან არ მოიპოვება თივა და საბალახო ადგილები, მაგრამ თუ რომელიმე ქალაქის მახლობლად სოფლებში შესაძლოა საბოლოო ან ასი ფურის დარჩენა, იქ რომ შესდგებოდნენ ამისთანა ამხანაგობები, უჭკველია, დიდ სარგებლობას მოიტანს ეს საქმე.

ტვერის გუბერნიისაში, საცა ეს საქმე დაიწყო პირველად, გლეხები ახლა ბევრად უკეთესს მდგომარეობაში არიან, ვიდრე წინეთ, ასე რომ იმათ აღარ ეძნელებათ ახლა სახელმწიფო ხარჯის გარდახდა და ოჯახობაც უკეთ მიჰყავთ.

უ. შერესხაგინმა ბევრს ასწავლა რიგიანთ გელისა და ერბოს კეთება; ყველა მის დასრულებულ საყველეს ქარხანებში მისი გაზდილი ასტატები არიან და კარგათ მიჰყავთ საქმე. ამ საყველეს ქარხანებთან უ. შერესხაგინი ურთვეს ღორების მოშენებას. ყველის კეთების დროს რჩება ბევრი რძე, რომელიც არაფრად არ მოიხმარება ხოლმე და ღორს კი ძლიერ სუქებს.— მგეც ახალი შემოსავალი.—

ს. მ.

ფაშა — მწყემსი.

მსმალური არაკითხვ. ლაბულესი.

ბაღდადის ქალაქში ოდესმე სცხოვრებდა ერთი ფაშა. ხონთქარს ეს ფაშა ძლიერ უყვარდა, ქვეშევრდომებს კი იმისი ძლიერ ეშინოდათ. მს ფაშა-სახელად ალია-იყო ნამდვილი მუსულმანი და ძველებური ოსმალთა. რაიმტრედის ფრად ინათებდა, ალია მაშინვე ალიჩას გაშლიდა, პირს მბასაკენ (მეკაკა) მიჰქცევდა და ნამაზსა და ღოცვას სასოებით ეხდებოდა. მას შემდეგ ორი ალის ფრად მცემული ტყვე ჩიბუხსა და ყავას მოარმევედა იმას; ასე ამ გვარად ალია მუხლ-მოცეცილი გაატარებდა ხოლმე მთელ დღეს. ალია-ფაშის საქმე სულ იმაში მდგომარეობდა, რომ პატარ-პატარა ყლაპით ნებიერად მიერთებდა შავს, მწარეს და ცხელ-ცხელ არაბე-

თის ყავას; ნელ-ნელად შეეჩვეოდა გრძელი ყალიანიდგან სმირნის თამბაქოს წევასა, ეძინა, არაფერს არ აკეთებდა და არც არასა ფიქრობდა ხოლმე. ალის თვეში ერთხელ უშლიდნენ თავის ჩვეულებრივ განსვენებას; ეს მაშინ, როცა იმას ხტამბოლიდან მოსდიოდა ბრძანება ერთი მილიონი პიასტრის (შაურის) საფაშო ხარჯისა ხაზინაში შეტანის თაობაზე. იმ დროს ის მდიდარ ბაღდადია ვაჭრებს მოიხმობდა ხოლმე და ზრდილობიანად სთხოვდა, რომ ორი მილიონი პიასტრი წარმოედგინათ; ვაჭრები დაიწყებდნენ მაღლა ხელების შეშვერას, გულში ცემას, წვერების წეწვას, ტირილით ფიცვას მოჰყვებოდნენ, რომ არც ერთი ფრა არ გაგვაჩნიაო და ევედრებოდნენ ფაშას ეპატიებინა მათთვის და შეეწყალებინა ხონთქარსაც; მაშინ ალი გულგრილად, ყავის სმასაც არ შეაჩერებდა ისე, გასცემდა ბრძანებას, რომ ეცემათ ამ ვაჭრებისთვის ფეხის ქუსლებზე, მინამ ისინი ფულებს არ მოიტანდნენ; ასე რომ ვაჭრები საცა იყო და არ იყო ყოველთვის მონახვიდნენ ფულს და მოართმევდნენ ფაშას. ალი-ფაშა დაითვლიდა ფულს; ნახევარს ხონთქარს გაუგზავნიდა და ნახევარს ზანდუქში ჩაიდებდა; შემდეგ ისევ მოჰყვებოდა თავის ყალიონის წევასა. ხშირად იმ დღეს ალია სჩიოდა, რომ დავიღალეო და ძლიერ მიჭირს ჩემი თანამდებობის ასრულებათ, მაგრამ მეორე დღეს კი ყველა ესენი ავიწყდებოდა და მეორე თვეში ის ისევ გულგრილათ და უანგაროდ ჰკრეფდა ხარჯსა. მართი სიტყვით ალი იყო სამაგალითო ფაშა.—

შავისა, ყალიონისა და ფულის გარდა, ალის ყველაზე უფრო უყვარდა თავისი ქალი-სახელად „თვალის ჩინი“. ის უყვარდა უფრო იმიტომ რომ მასში იყვნენ გამოხატული ალის ყოველნი სათნოებანი. თვალის-ჩინი იყო ძლიერი ლამაზი, მაგრამ ძლიერ ზარმაციც; უმოახლოდ ის ფეხის გადმას არ იკადრებდა; თეთრი ტყვე ქალი იმას უბარცხნიდა თმას და უსწორებდა ტანისამოსსა; ყვითელ ტყვეს ეჭირა იმის წინ სარკე და აგრილებდა მას მართი და ზანგი ამ დროს შეაქცევდა თვალის-ჩინს თავის პირის სახის ღრეჭით; ის მიიღებდა ამის მაგივრად საჩუქრად ან ალერსსა ან ტყეპას, თუ ეს ღრეჭა არ გააცინებდა თვალის-ჩინს. შოველ დღე თვალის-ჩინი დასეირნობდა ხოლმე ხარებ შემბულ ურმით; სა-

მი საათი იჯდა წყლის აუზში; დანაწილებდა ვიზიტებს აკეთებდა, სჭამდა ვარდის მურაბას, ბროწეულის შარბათს, უყურებდა მოთამაშეებს და დასცინოდა თავის ამხანაგებს. წიგნების კითხვა, ფიქრი, კერვა—ქსოვა,—ეს სულ მოახლებების საქმეა. ზანა ახალგაზდას, ლამაზს, ფაშის ქალს ქეიფის გარდა სხვა რამ შეჰფერის?!.. ზანა უსაქმობისთანა სახალისო და სასიამოვნო არის კიდევ რამ? ასე ფიქრობენ ოსმალები, მაგრამ ქრისტიანებშიაც კი ბევრი დაეთანხმება ამ აზრსა.

დღემიწაზე რომ საუკუნო ნეტარება მოიპოვებოდეს, ზეცა დაავიწყდებოდა კაცს; ეს კარგა გამოსცადა ჩვენმა ალიმ. მართხელ ხარჯის მოკრეფის დროს ალია სხვათა შორის კარგა გვარიანათ გატყუა ჯოხით ერთი ბერძენი, რომელიც თურმე ანგლიის მფარველობის ქვეშ ყოფილიყო; გატყუებულმა რაც შეეძლო იყვირა ამ საქმეზე. ანგლიის ელჩმა, რომელსაც ღამ-ღამ ცუდათ ეძინა, კიდევ უფრო სმა მაღლად იყვირა; ანგლიამ, რომელიც თავის დღეში არ არის მიძინებული, ელჩზე კიდევ მაღლა დაიყვირა; გახეთქმა და პარლამენტმა დაიწყეს ღრენა და სჯა ამ საქმეზე; ბოლოს ხონთქარს მუშტი უჩვენეს; ამდენმა ყვირილმა და ხმიანობამ, ასე უბრალო საქმისთვის, ხონთქარს თავი მოაწყინა, მაგრამ რადგანაც ანგლიას ისე ვერ მოეპყრობოდა, როგორც ვაჭრებს, არჩია ისევ ალი-ფაშასთვის მოეხვია თავზე ეს საქმე. პირველად ხონქარს უნდოდა თავის ძველი მეგობრის—ალის დახმობა, მაგრამ შემდეგ იფიქრა, რომ მართლმორწმუნე მუსულმანის დახმობა მეტათ გამპარტავანებს ურწმუნო ქრისტიანებსო და ამის გამო გამოსცა ყოველად უმოწყალესი ბრძანება, რათა გაეგდოთ ალი-ფაშა ერთ უადამიანო და უნაყოფო ზღვის პირას და მოეკლათ იქ ის შიმშილით.—ალის ბედზე მის მაგივრად ფაშად დანიშნეს ერთი ძველებური კაცი, რომელმაც კარგათ იცოდა, რომ ხონთქარის ხასიათი ხშირად იცვლება ხოლმე; ახალმა ფაშამ იფიქრა, შეიძლება ოდესმე ხონთქარს მოუბრუნდეს გული ძველი ალისაკენ და აპატივოს; მაშინ ხონთქარი დაუმაღლებს იმას კეთილი გულიანობისათვის; საიდუმლოდ მოაყვანინა ალი და მისი ქალი, მისცა იმათ ტანისამოსი, ტყვეები, რამდენიმე ფული და გამოუტყადა, რომ თუ ისინი ხელ მის საფაშოში ნახა ვინმე, მაშინ



იმათ ან ჩამოახიობენ და ან თავს გააგდები-
ნებენო. ალიმ დაუმაღლა ფაშას ამისთანა მო-
წყალებისათვის და ერთი საათის შემდეგ გაე-
მგზავრა ქარავენით სირიისაკენ. იმ საღამოსვე
ქ. ბაღდადის ქუჩებზე გამოაცხადეს, რომ ალი-
ფაშა გამოცვალეს და გააგდეს საფაშოდანო.
ის ახალი ამბავი ყველასთვის, რასაკვირველია,
დიდათ სასიამოვნო იყო; ყველგან ლოცვიდნენ
და აღიდებდნენ ხონთქარს სამართლიანობისა-
თვის და ქვეშევრდომებზე თვალ-ყურის დევ-
ნისათვის; ასე რომ როდესაც მეორე თვეში
ახალმა ხელმძიმე ფაშამ მოითხოვა ორნახევარ-
ი მილლიონი პიასტრი ხარჯათ, მშვიდობი-
ანმა ბაღდადის მოქალაქეებმა დიდის კმაყოფი-
ლებით გარდაიხადეს, და კიდევაც ჰმადლო-
ბდნენ ლმერთს რომ განთავისუფლდნენ ალი-
საგან, რომელიც დიდის ხნის განმავლობაში
უწყალოდ და დაუსჯელოდ სცარცვად იმათ.—

სიკვდილისაგან გადარჩენა, რასაკვირველია,
კარგია; მაგრამ ვინც სიკვდილს გადურჩა,
იმას ცხოვრება, საქმელი უნდა და ეს ადვი-
ლი არ არის, ნამეტურ იმისთვის, ვინც სხეი-
სი ხელებით და ფულებით ცხოვრებას მიჩვე-
ულია.—ალია რომ ღამასკი მივიდა, იმას ერთი
ფარა არა ჰქონია ჯიბეში. იქ არა ჰყავდა
იმას არც ნათესაეები, არც მეგობრები და არც
ნაცნობები; კედებოდა შიმშილით; მაგრამ
შიმშილზე უფრო იმას აწუხებდა რომ მის
ფვალის წინ ყვითლდებოდა და ილეოდა მისი
მშვენიერი ქალი, მისი თვალის-ჩინი.—რა უნ-
და ექნა ამ ნაირ გაჭირებაში? დაეწყო მათ-
ხოვრობა? ეს არ ეკადრებოდა გუშინდელ
ფაშას, რომლის ხელ ქვეშ გუშინ მთელი მა-
ზრა იყო. მშუშავნა? როგორ შეეძლო! ალი
ყოველთვის ცხოვრობდა კეთილშობილურად,
ე. ი. თავის დღეში არაფერი არ გაუკეთებია.
ფულების შეძენისათვის ის სცემდა მდიდარ
ვაჭრებს და ამ რიგათ ცხოვრებდა;—ამ
რიგი საქციელი მართო ფაშას შეუძლია ხონ-
თქარის ნება დართვით. მხლა კი ეს მოხელო-
ბა იმას სახიობელას ანახებინებდა. ალიამ კარ-
გათ იცოდა, რომ ფაშებს არ უყვართ, როცა
მათ საქმეში გაერევიან ხოლმე; თითონ იმის-
თვის აღრე ყველაზე უფრო სასიამოვნო იყო,
რომ დაეხიობინებინა ის ქურდი, რომელიც
ისე სულელი იყო, რომ მდიდრებს
ჰპარავდა რასმე.—

— მართხელ, მარხვით დასუსტებული, თე-

ლის-ჩინი იყო წამოწოლილი ჭილობზე და
სისუსტით თითქმის ვერც დგებოდა; ამ დროს
მგელივით მშვიერი ალი დაეხეტებოდა ღამას-
კის ქუჩებზე, სადაც ნახა, რომ ერთ მალაზი-
აში მიჰქონდათ, თავზე დადგმული, ზეთით საე-
სე ლიტრები; მალაზიასთან ერთი ვაჭარი იდგა
და ამ მუშებს აძლევდა თითოს თითო ფარას
(რამდენიმე კოპეიკი) ამ ფარების შეხედვამ
ააჭრქოლა უწინდელი ფაშა. ის აჰყვა ვიწრო
კიბეს, დაღვა მუშებს შუა და მიიღო ერთი
ესეთი დიდი ლიტრა, რომ ორივე ხელებითაც
დაჭერა უჭირდა. ძისე მოხრილი და მხრებ
აწეული, ალია ნელ-ნელა ჩადიოდა კიბეზე;
უცრად იმან იგრძნო, რომ ტვირთი წინ იწე-
ოდა; იმან მოინდომა უკან დაწევა, მაგრამ ამ
დროს დაუცდა ფეხი და ჩაგორდა კიბის ბო-
ლომდე; რასაკვირველია თიხის ლიტრაც გა-
ტყდა და ზეთიც დაიღვარა. წამოდგა თუ არა,
ვაჭარმა ჩააგლო ალის საყელოში ხელი.

— შე უხელო! მხლავ მოიტა ორმოცდა
ათი პიასტრი და გამეცალე აქედან. თუ არ
შეგეძლო, აბა რათ ჰკიდებდი ხელსა?!

— ორმოცდა ათი პიასტრი! დაღონებით
წარმოსთქვა ალიამ. საიდან ვიშოვო? მე ერ-
თი ფარაც არა მაქვს.—

— შენ თუ არ შეგეძლია გარდახდა, მაშ
მე ვიცი, როგორც გაზღვევინებ ჩემ ზიანს.
ბულგრილად სთქვა ვაჭარმა და იმის ნიშნე-
ბით ორმა ძლიერმა კაცმა ჩააგლო ალის ხე-
ლი; დასცეს და შეუკრეს ფეხები. ამნაირ მდ-
გომარეობაში ძლიერ ბევრი ყოფილა ხოლმე
ალი-ფაშის ბრძანებით; ეხლა თითონ გამოსცა-
და ეს; ალის ისე მაგრათ დაჭრეს ორმოც-
და ათი ჯოხი ქუსლებზე, რომ, გვეგონებოდათ,
თითონ ფაშის ბრძანებას ასრულებდნო.

სისხლით გასერილი, ადგა ალი; შეინვია
ფეხები ძონძებში და ხენეშით დაკოჭლებულმა
გასწია შინისაკენ.


— დაილოცოს, ლმერთო, შენი სამართა-
ლი! ჩაიხურჩულა ალიამ.—სამართლიანად მა-
წყალებს ეხლა ლმერთი ისე, როგორც უწინ
სხვები იყვნენ ჩემგან ნაწვალები; მაგრამ ბა-
ღდადის ვაჭრები, რომელთაც მე ვსცემდი,
ჩემზე უფრო ბედნიერები იყვნენ: ისინი თა-
ვიანთ მეგობრებისაგან მაინც შოულობდნენ
ფულებს; მე კი ერთი ფარის პატრონი არა
ვარ და ამასთან კიდევ მცემენ.

ალი სცდებოდა: ერთმა კეთილმა ქალმა,
რომელიც დაესწრო მის ცემაზე და იყო მო-

წამე იმის უბედურებისა, შიშოლ იმში მონ-
წილეობა; ალი შეეცოდა იმას. ამ კეთილ-
ქალმა შეუხვია იმას ფეხები, მისცა ერთი ტო-
მარა ფქვილი და ცოტა ლობიო. შაშობი
შემდეგ, ალის მარტო ამ ღამეს დაეძინა მო-
სვენებით. ხვალინდელი დღისათვის ის ა
ზრუნავდა.

ძაცის ჭკუას არაფერი არ აფხიზლებს ისე
როგორც აეთმყოფობა და მარტობა. მარ-
ტობის დროს ალის ერთი მანუგეშებელ
აზრი მოუვიდა თავში: „მე სულელი ვიყავი
რომ მუშობა მინდოდა; ფაშას მაგარი თავი
არასოდეს არა აქვს; მაგარი თავი მარტო ხა-
რებსა აქვს; ჩემი წოდების კაცი ყოველთვის
მარჯვე არის და მოხერხებული ხელების პა-
ტრონი, მე ვიყავი ჩინებული მონადირე. ამა-
გარდა მე, რამდენიც გინდა, ტყვილებს ვიტყვ
და პირმოთწეობაც შემიძლია. მსენი მე, რო-
გორც ძველებურმა ფაშამ—ძლიერ კარგათ
ვიცი. მაშ მე გამოვიჩინე ისეთ ხელობას
რომლითაც შემიძლია გავაკვირო მთელი
ქვეყანა და მოვიპოვო პატიოსანი შრომით
ცხოვრების საშუალება“. ამ ფიქრის შემდეგ
ალიმ მოჰკიდა ხელი დალაქობას.—თავდა
პირველ მისი საქმე ძლიერ კარგათ მიდიოდა
ის დალაქი ვისთანაც ალია იდგა, აზიდვინებდ
იმას წყალს, არეცხინებდა სადალაქოს, ხელ
ზე მსახურობდა, მომსვენებდა ალი მთავრად
და ხოლმე ყავას და ჩიბუხს. ამ გვარ საქმეებს ის
მშვენიერად ასრულებდა; ხანდისხან გაპარსავ
და ხოლმე რომელიმე მთიულ ღარიბ კაცს
და რამდენჯერმე ბამბაც დათესა მათ თავზე
მაგრამ ეს არაფერია; ამ ხალხს ისეთი მაგარი
ტყავი აქვს, რომ პატარა მოჭრას ვერც იგ-
რძნობენ, და შნოიანობისათვის კი თითსაც
არ გაანძრევენ.—

მართხელ დილით, თითონ დალაქი არ იყო
შინ, შემოვიდა სადალაქოში ერთი ისეთი წარ-
ჩინებული კაცი, რომ ალია მარტო ერთმა
იმის შეხედულობამ შეაშინა. ეს იყო ფაშის
ხუმარა, პატარა, კუზიანი, გრძელ თმიანი კა-
ცი, თავი გოგრას უგავდადა კბილები მაიმუნისას
თავის ბანის დროს ხუმარა იმ რიგათ იღრი-
ჯებოდა და ისეთ ნაირად აუტყდა ალის, რომ
ორჯელ გააგდებინა ხელიდამ ტაშტი და და-
აღრევიანა წყალი; ეს ისე ესამოვნა ფაშის
ხუმარას, რომ ორჯელვე აჩუქა ალის ოთხ
ო.ხი ფარა. ალი ძლიერ გულმოდგინე
და დიდის მოწიწებით ჰპარსავდა ხუმარას ძვირ-



ფასს თავს; უეცრად კუზიანი ისე საშინლად დაიღრჩია და ისეთ ნაირად დაიყვირა, რომ ალის შეეშინდა, მსწრაფათ გასწია იქით სამართებლიანი ხელი და მას ნახევარი ხუმარას ყურიც თან გააყოლა. —

ხუმარას უყვარს სიცილი, მაგრამ თავის თავზე კი არა—სხვებზე; ყველაზე უფრო გრძნობიარე ტყავი იმას აქვს, ვისაც სხვისი ტყავი არ ეზოგება. მით წამში ხუმარა წამოხტა, ეცა ალიას, წაუჭირა ყელში ხელი და დაიწყო ბღაველი: „მიშველეთ, მკლავენო!“ ალიას ბედით ყურის ტკივილმა გააშვებინა ხუმარას მისთვის ხელი. ალიამ, იშოვა თუ არა დრო, გავარდა კარებში და გაქუსლა ღამასკის ქუჩებზე ისე გაცხარებული, როგორც გაქუსლავს ხოლმე ის კაცი, რომელიც დარწმუნებულია რომ, თუ დაიჭირეს, ჩამოხრება მოვიდის.—

ალია შევარდა ერთ დანგრეულ სახლში და დაღამებამდი იქ იყო დამალული. ამ შემთხვევის შემდეგ ღამასკში დარჩენა იმას არ შეეძლო. მეორე დღეს გათენებამდე ალიამ და თვალის-ჩინმა გასწიეს მთებისაკენ. სამი დღე იარეს ისე, რომ არსად არ შეჩერებულან; სამი დღე იმათ ყურძნის და წყლის მეტი არა ჩაუღვიათ რა პირში. ხან დისხან სიღარიბეც კარგია: არასოდეს არც ალიას და არც მის ქალს არ უჭამიათ საუკეთესო საჭმელები ისე მაღიანათ, როგორც ეხლა ყურძენს სჭამდენ.—ბოლოს ისინი მიადგნენ ერთ კეთილგულიან გლეხს, რომელმაც კარგა მიიღო ისინი და ნაფახუშმევს ჰკითხა: სადაური ხართ, ან სად მიდინართო და სხვ. ალი, რასაკვირველია, მოუყვა ყოველ თავის გარემობას. მასპინძელმა უთხრა, ჯოგი მყავსო და თუ გინდა მწყემსად დამიდექიო. ოცი ცხვრისა და ოციოდ თხის მწყემსობა არ არის ძნელი, ნამეტურ მაშინ, როდესაც მწყემსის თანამდებობას უფრო ძაღლები ასრულებენ. ამას გარდა იმას არავინ სცემდა მაინცა და ყველი და ერბო რამდენიც უნდოდა იმდენი ექნებოდა; თუმცა ჯამაგირი არ შეაძლია მასპინძელმა არც ერთი ფარა, მაგრამ თვალის-ჩინს მისცა ნება მატყლიდან რამდენიც დასჭირდება იმას და მამა მისს ისარგებლოს.—ალიას მეტი რა გზა ჰქონდა, რომ არ დათანხმებოდა. მეორე დღესვე იმან წაირეკა წინ ჯოგი, წაიყვანა თან თვალის-ჩინი და ძაღლები, და გასწია მთებისაკენ.

(მაგრამელები იქნება).

სადგომისა და ადგილის მდებარეობის გავლენა კაცის ტანმთელობაზე.—

შველამ ვიცით, რომ ცუდ სადგომსა და ადგილის მდებარეობას აქვს ჩვენს ჯანმთელობაზე დიდი ზედმოქმედობა, მაგრამ მაინც არ უფლებთ ამ საქმეს ყურსა და ხშირად ისეთ ადგილს ვაშენებთ ხოლმე სახლებს, სადაც კაცისათვის მავნებელი ჰაერია. სახლი კი მართო თავის შესაფერებლად გვაქვს: ჩვენ არ დავსდევთ ნოტიოა ის, თუ არა, ან სინათლე თუ საკმაოდ შემოდის ოთახებში და სხვა.—

სწავლულები გვიმტკიცებენ ჩვენ, რომ ვიწრო და ბევრ სულიანი სახლებში დგომა ძლიერ მავნებელია კაცისათვის, ამიტომ რამ იქ ყოველთვის ჰაერი წამხდარია და მეტად ბევრი ორთქლი გროვდება. აქედან წარმოდგება, რომ ამ რიგ სახლებში მდგომნი ხშირად ჰხდებიან ავით ქლერქითა, სიყვილითა, სატკბურიითა; საჭმელს ხეირიანად ვერ ინელებენ და სხვ. ამისთანა ვიწრო სადგომში დაწოლილი ავითმყოფი, კიდევ უფრო ავით ჰხდება. ზამოცდილია, რომ რომელიმე ჭირის დროს, ისინი უფრო ხშირად ჰხდებიან ჭირით ავით, რომელნიც ცუდს, ვიწრო სადგომში დგანან და ცუდი საჭმელით რჩებიან. ციხეში და ქარხანებში, სადაც ოთახებში ნაკლებათ შედის მზის სინათლე, ხშირად ჰხდებიან ავით წყალმანკითა, თვალის ტკივილითა და საჭმელსაც ვერ ინელებენ. თუ კარები და ფანჯრები კარგათ არ იხურებიან, შესაძლოა გაუჩნდეს კაცს ქარები და ციება. ხშირად ყელი და მუცელიც ასტკივდება ხოლმე.

მეტად-მეტი სიცივეცა და სითბოც აენებს ყოველთვის კაცს. მართო თბილი ოთახიდან ცივ ჰაერში გასვლის დროს ძალიან ადვილად გაცივდება კაცი და ავითაც გახდება.—

სამოსახლო ადგილის ამორჩევაში ძლიერ ფრთხილად და წინდახედვით უნდა მოიქცეს ყოველი კაცი, თორემ თუ სახლი ცუდს ადგილზე დგას, რაც გინდ წმინდათ და სუფთათ შეინახონ სადგომი, ჰაერი მაინცა ყოველთვის ცუდი იქნება და უნდა იცოდეს, რომ ავითმყოფობა ხშირად ეწვევა იმას.—

რაც შეიძლება, უნდა ეცადოს კაცმა, რომ ნოტიო ჰაერისა და მდებლიო ადგილი არ ამოიჩიოს სამოსახლოდ. თუ ვინმე იძულებულია ნოტიო ადგილზე დასახლდეს, მაშინ

იმან წინეთ უნდა გააშროს სამოსახლო მიწა; თბილი უნდა შემოავლოს ეზოს და ნამეტანი წყალი ამ თბილში გაივლოს; ამას გარდა სახლის იატაკი მაგარი დასქელი ქვითკირისა უნდა იყოს, რომ სინოტიო არ შედიოდეს კედლებიდან.

სამოსახლო ადგილი უნდა იყოს გაშლილი და მაღლობი, რომ ქარი თავისუფლად მოხედვოდეს და სწმენდეს ჰაერს. მაღლობი ადგილი ძვირად შეიძლება ნოტიო იყოს და მდებარე ადგილზე კი ყოველთვის წყალი დგება, შემდეგ ის ღებება და აქედან წარმოსდგება ცუდი ჰავა; ამ ნაირი ადგილებია რიონის ქალები თითქმის მუთისიდან დაწყებული შოთამდი. ამიტომაც აქ მუდამ ციება და სხვა და სხვა ავითმყოფობები გამოუღვევლნი არიან.

რასაკვირველია, არც დიდ მაღლობზე უნდა დასახლდეს კაცი, თორემ გაუწყვეტელი ქარიშხალი და წვიმიანობა არ მოუხსენებს იმას.

ძაცის ჯანმთელობისათვის მარგებელია, რომ სალხს ბაღი ჰქონდეს, ან უბრალო ხეები მაინცა რომ იდგნენ ეზოში. შანჯრები სახლს უნდა ჰქონდეს მზისაკენ და არა ჩრდილოეთისაკენ. რაც უფრო ცოტა სული დგას ერთ სახლში და რაც უფრო მოშორებულია ერთი სახლი მეორეზე, ის სჯობია. არც ისე მოშორებით უნდა, როგორც ჰქონდეს იმგვართის სოფლებშია; ასე რომ ბუკით თუ გააგონებს მეზობელი მეზობელს, თორემ კაცის ხმა სიშორისაგამო ვერ გაიგონება. დიდ ქალაქებში, ადგილის სიძვირისგამო, სახლები ჰაერში აჰყავთ; თითქმის სულ ექვს და შეიდეტაქიანები არიან და ერთი-მეორეზე მიკრულნი. ჯანმთელობისათვის ამის გამო დიდ ქალაქებში ცხოვრებისთანა მავნებელი არაფერი არ არის. აბა რა ჰაერი უნდა იყოს იქ, სადაც ერთ სახლში ხშირად ხუთი ათასი სული დგას! რასაკვირველია, აქ წამხდარი ჰაერი უნდა იყოს; ამის გამო არსად არ არის იმდენი ავითმყოფები, რამდენიც დიდ ქალაქებშია. ჰაერს ისეთი ზედ მოქმედება აქვს კაცზე, რომ დიდ ქალაქებში ისინიც არ არიან კარგათ, ვინც შეძლებულნი არიან, რიგინად სჭამენ და წმინდათ სცხოვრებენ.—

ჩვენში, დასაზოგადოთ ყველგან, სოფლები მუშა კაცები უფრო ტანმთელები და ჯანანები არიან, ვიდრე ქალაქებში და ნამეტურ



ქარხანებში მყოფი მუშები. ამის მიზეზი ის არის, რომ სოფლები თითქმის ნიადაგ გარეშე მუშაობენ და წმინდა ჰაერით სუნთქავენ.—

შეღესილი ხის სახლი ძალიან კარგია სადგომად, მაგრამ უნდა უფროხილდებოდეს კაცი, რომ ბუხანკალები და მწვერები არ გამრავლდნენ ფიცრებში, ნამეტურ ერთი ხის მჭამელი ჭიანჭველი, რომელიც ძლიერ აფუჭებს ხოლმე ფიცრებსა. მწვერები, იმის გარდა რომ აწუხებენ კაცს კბენით, მაგალითად-ტილი, ბაღლინჯა, რწყილი და სხვა, საზარელი და მავნებელი არიან კიდევ მით, რომ ცუდი სუნი უდით; ისინი შეიძლება მოიშოროს თავიდან კაცმა მარტო სისუფთავით.

ჩალით და ისლით გარდახურული სახლი იმას გარდა, რომ ცეცხლისაგან საშიშოა, მავნებელიცა.—ახლად აშენებულ, ნამეტურ ქვეთკირის სახლში არ უნდა დადგეს კაცი, რადგან პირველად ყოველთვის კირისაგან ნოტიობა იქნება; თუ მაინცა-და-მაინც საჭიროა, მაშინ ერთი კვირის განმავლობაში კარგათ, უნდა თბებოდეს ოთახები, რომ გამოშრენ შემდეგ შეიძლება დადგომა.—ძარგი ფეჩი და ბუხარი ისე უნდა იყოს გაკეთებული, რომ ცოტა შეშას თხოულობდეს და ბევრსიბოზს აძლევდეს. სიბოზს გარდა ბუხარი სწმენდს ჰაერს: ცეცხლის დანთების დროს ცუდი ჰაერი მიდის ზევით ბუხარში და კარგი შემოდის გარედან. რკინის ფეჩები იმიტომ არიან ცუდნი, რომ მალე თბებიან და მალეც ჰსცივდებიან—არ იზოგავენ სიბოზს ისე, როგორც ქვეთკირის ფეჩები; ერთი სიტყვით რკინის ფეჩი ბედროვლათიან კაცსა ჰგავს: როგორც მალე იშოვის, ისე მალეც დაფანტავს.

ჰაერის გაწმენდა სახლებში, როცა არ ცივა, ძალიან ადვილია; შეიძლება ფანჯრები ან კარები გაიღოს და ჰაერი გაიწმინდება. მაგრამ, როცა სიცივია, ან როცა ავათმყოფი ჰქვევს სახლში, მაშინ კი არ უნდა გააღოს არც კარები და არც ფანჯრები. ამ შემთხვევაში ბუხარში ცეცხლის დანთება ეხმარება ოთახების ჰაერის გაწმენდას.

ჰაერის სიწმინდესთან, თუ თითონ ოთახის და მებელის სისუფთავე არ იქნა, მარტო ის, რასაკვირველია, ვერრას მოეხმარება; ხშირად უნდა დაათვალიეროს კაცმა კედლები და მებელი, რომ არაფერი მწვერები გაჩენილიყ-

ნენ. მლილის (ჩინჩას) მოსასპობელად ხმარობენ ხარის ნალეულსა.—

სულ ადგილზე დადგმული და ცუდათ გაკეთებული ფეხის ადგილი, ძლიერ მავნებელია კაცისათვის; ფეხის ადგილი რაც შეიძლება სადგომი ოთახების მოშორებით უნდა იყოს, და იმის კარები მჭიდროთ უნდა იკეტებოდეს.

ზანსაკუთრებით ყურადღება ჰაერის სიწმინდეზე და სადგომის სისუფთავეზე უნდა იყოს მიქცეული იქ, სადაც ბევრნი არიან ერთად, მაგალითად საავათმყოფოში, ციხეებში და ქარხანებში, სადაც ხშირად ასი და ორასი მუშა ერთ ოთახში მუშაობს; აგრეთვე საყდრები, ტეატრები და საზოგადო სახლები, სადაც ბევრი ხალხი იყრის ხოლმე თავსა, ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ ყოველთვის შეიძლებოდეს ჰაერის გაწმენდა.—

მაგრამ ყველაზე უფრო მეტი ყურადღება უნდა იყოს მიქცეული სასწავლებლებზე და ყმაწვილების პანსიონებზე. ყმაწვილს უსუფთაობა და ცუდი სახლში დგომა ორ წილად უფრო ავნებს, ვიდრე მოზდილსა. მოწითულ კაცს აგებულობა იმოდენათა აქვს გამაგრებული, რომ შეუძლია ბევრი აიტანოს, მაგრამ ყმაწვილის სუსტი აგებულება კი იმის მესამედსაც ვერ აიტანს. ამიტომაც ყმაწვილებს მომეტებული ყურადღება უნდა მიექცეს. მეტად საცოდავები არიან ის ყმაწვილები, რომლებიც სიღარიბისა გამო იძულებულნი არიან ქარხანებში იმუშაონ. ისინი როგორც ტანმთელობით, აგრეთვე ზნეობითაც გაფუჭებულნი შეიქმნებიან. აი რას ამბობს ამ ყმაწვილების ანგლიაში მდგომარეობაზე უ. ჯორჯ-ბრეი. „პარლამენტმა გამოსცა კანონები ამ ყმაწვილების მდგომარეობის შესამსუბუქებლად; ამ კანონების ბეჯითად ასრულებისათვის დანიშნულია ცალკე კომისია, მაგრამ ამ კომისიას არ შეუძლია ნიადაგად ეწეოს თვალ-ყური ამ საქმეს. მუშაობის დროს ნაქირავებ ყმაწვილებს ისე ცუდათ ეპყრობიან, როგორც წინეთ ამერიკაში ნეგრებს: მუშების ზედამხედველს უჭირავს ხოლმე ხელში მათხახი და უთაქებს ზურგზე საწყალ ყმაწვილებს, თუ ისინი ცოტა ხანს შეჩერდნენ მუშაობის დროს, ან თუ რამ შესცდათ. ხშირად ყმაწვილები ძლიერ შორიდგან მიდიან ხოლმე სამუშაოდ, მაგ. ერთ ექვსი წლის ქალსა ყოველ დღე ოცი ვერსი უნდა გაევიღო, ათი

სამუშაოთ წასასვლელად და ათი კმინ დახაბრუნებლად. ხშირად ამ ქალის უფროსი დები იძულებულნი იყვნენ ხელით წაეყვანათ ეს საწყალი ბავში. ამდენ წვალებაში და მუშაობაში იმას აძლევდნენ დღეში ათ კობ. ხშირად ბავშვებს აძლევდნენ ისეთ სამუშაოს, რომელიც გასაჭირია უფროსებისათვისაც; ამის გამო უმეტესი ნაწილი მუშა ყმაწვილებისა არის ავათმყოფი, ყვითელი, თითქმის ყველას წელი სტიკვით და მალე კედებიან. ამ ცუდი მოქცევისაგან წარმოსდგა ის, რომ არსად არ არის ისეთი გარყენილი, ფაფუჭებული და უზნეო ხალხი, როგორც იპოვება ამ ყმაწვილებში. მართი მღვდელი აი რას ამბობს ამ საგანზედ: „ერთხელ მე შემხვდა ერთ ანგლიელ სოფელში გზაზედ რამდენიმე ყმაწვილი კაცი, ქალები და ბავშვები; თუმცა ისინი, ეტყობოდათ, ძლიერ დაღლილნი იყვნენ, და კოჭამდინ ლაფში მოდიოდნენ, მაგრამ მაინც ლაზღანდარობდნენ ისეთი საზარელი სიტყვებით და იმდროდენ ისეთ საზარელ ლექსებს, რომ კაცს გული აერეოდა“—„ზული მიკედება, ამბობს ჯორჯ ბრეი, როცა მოვიფიქრებ, რომ ამ ნაირ მდგომარეობაშია 80,000 ჩვენი ყმაწვილები! მე არ შემიძლია წარმოდგენა-რა მომავალი მოელის ჩვენ სოფლის ხალხს შემდეგში, თუ დიდხან გაგრძელდა ამ ნაირი ყმაწვილების აღზდა.—ამ ნაირ მდგომარეობაში მუშა ხალხი მარტო იქ არის, საცა მიწის განყოფილება ისეთი უთანასწოროა, როგორც ჩვენში, სადაც მთელი მიწა, მთელი ანგლია რამდენიმე პირებს ეკუთვნის“.—

ს ო ფ ე ლ ი და ქ ა ლ ა ქ ი .

ზამოანგარიშებულთა, რომ ავათმყოფებთ და მკვდრებთ რიცხვი ქალაქებში უფრო მეტია, ვიდრე სოფლებში. თუმცა მას აქეთ, რაც განთლება და სწავლა თან და თან ვრცელდება ქალაქებში, სიკვდილობამაც იკლო, მაგრამ იქ მაინც მეტი კედებიან ხოლმე, ვიდრე სოფლებში, სადაც ძლიერ ნელ-ნელა ვრცელდება განთლება. ამ ხშირი სიკვდილობის მიზეზები ქალაქებში არიან: ბევრი ხალხის ერთად თავის მოყრა, ცუდათ სახლების შენება, ქალაქელების ცუდი ყოფა ქცევა და ზნე და ჯანმთელობისათვის მავნებელი მუშაობა.

ქალაქებში მცხოვრებლებისათვის ძლიერ მარგებელი იქმნებოდა, რომ ყოველ ზაფხულ,



თუ ეს შესაძლოა ისინი ატარებდნ სოფლის წმინდაჰაერში. შენიშნულია, რომ იმ ქალაქებში, სადაც ქუჩები სუფთათ უჭირავთ, სადაც ბევრი ბაღებია და წმინდათ სცხოვრობენ, მცხოვრებლები ძვირად ჰხდებიან ავთ და უფრო დიდხანსაც სძლებენ. მოლოლი ამბობს: ლოლანდიაში რომ წმინდათ არ ჰქონდეთ შენახული ქალაქები, ცხოვრება არ შეიძლებოდა; მუდამ გამოუღეველი ავთამყოფობა იქმნებოდაო, ამიტომ რომ ასე პატარა ადგილებზე იმოღენა ხალხი არსად არ სახლობსო. შირში (მგვიბტეში) და ძონსტანტინოპოლში კი ბინძურობის გამო მუდამ ხოლერა და ჟამიაო. თვით რომაელებს ესმოდათ ეს ჭეშმარიტება, და რაც შეიძლოთ, წმინდათ ეჭირათ ქალაქები; ქუჩები და ზოგან სოფლის გზებიც იმ დროს იყენენ ავურით მოფენილნი. ლუდოვიკოს მეთოთხმეტამდი პარიჟში (ფრანციის სატანტო ქალაქი) ქუჩების უწმინდურობის გამო, ძლიერ ხშირი იყო ავთამყოფობა და მას მერმე კი იკლო. მტვერი აენებს ფილტვებს, სადაც ის მიდის ჩაყლაპის შემდეგ და სწყენს თვალებსაც, აი რისთვის უნდა სცდილობდეს კაცი ქუჩების სიწმინდეს და ზაფხულში მათ ხშირად მორწყვას.

შენის ადგილში მოგროვილი უწმინდურება რაც შეიძლება მალე უნდა გაიძინონ ქალაქებიდან, რომ იმის სუნმა არ გააფუტოს ჰაერი. ფენის-ადგილის უწმინდურება ჩადის შუა ქალაქში გაყვანილ თხრილში და აქედან ერთვის ქალაქს გარეთ მდინარეს, ან თუ ზღვაა მახლობლად, იქ ჩაჰყავთ. ზოგან დიდი კასრებით გააქეთ ხოლმე ღამ-ღამ ქალაქს გარეთ და თუ არ სჭირიათ ასხამენ დიდ ორმოში, ან მიწის სასუქათ ხმარობენ; ზოგან ამ უწმინდურებას ფასად ჰყიდულობენ, ისე სასარგებლოდ მიაჩნიათ ის მეურნეობაში, მაგალითად ჩინეთში.—

სამედიკო ცნობები

ცოფიანობის წამალი

მრთმა საფრანგეთის ექიმმა დოქტორმა ბუისონმა აღმოაჩინა ახალი საშუალობა ცოფიანობის წამლობისა. ის ამბობს, რომ რუსული თბილი აბანო არის ამ საშინელი ავთამყოფობის საუკეთესო წამალიო; იმის სიტყვებით ამ საშუალებით მოურჩენია იმას ოთხმოც კაცამდე, რომლებიც იყენენ ცოფიან

ძაღლებისაგან დაკბენილნი. „მრთხელ ვიყავი მიწვეული, ამბობს უ. ბუისონი, ერთ გაცოფიანებულ კაცთან, რომელსაც ეს ავთამყოფობა უკანასკნელ მდგომარეობაში ჰქონდა; სისხლის გამოშვების შემდეგ, მე გავიწმინდე ხელები იმ ხელსახოცით, რომელიც ავთამყოფის ნერწყვიში ყოფილიყო თურმე გაფრთხილი. იმ დროს მე ერთი თითი მქონდა ცოტათ გაჭრილი; ეს, რასაკვირველია, საკმაო იყო იმისთვის, რომ გესლი შემსვლოდა სისხლში და მე გავცოფიანებულვიყავ. მე იმ წამს დავიბანე ის თითი თბილი წყლითა და გავიწმინდე; ცხრა დღემ გაიარა ისე, რომ მე ამაზე არც მიფიქრია; მეცხრე დღეზე, როდესაც მე ვიჯგვი ჩემ კაბინეტში, უეცრად ვიგრძნე რაღაც ტკივილი ჯერ ყელში და შემდეგ თვალებში; ამ დროს ისე მსუბუქად მეჩვენა ჩემი თავი, რომ მეგონა, ცამდი ავბტებოდი, რო მომენდომებინა და ფანჯრიდგან რომ გადამხტარვიყავ, ჰაერში შევრჩებოდი სიმსუბუქისა გამო; თან და თან მე წამომდიოდა პირიდან დორბლი და მიძნელდებოდა ბრწყინვალე ნივთების ცქერა; შემდეგ მომივიდა სურვილი სირბილისა და რისმე კბენისა; სმა ძლიერ მიჭირდა და შევატყე, რომ წყლის შეხედვა მე უფრო მაწუხებდა, ვიდრე ყელის ტკივილი; წყლის სმა შემეძლო მხოლოდ მაშინ, როცა თვალებს დავხუჭავდი; ტკივილს ვგრძნობდი დაკოდილ თითიდან მხრამდინ. მე მქონდა ჩემი საშუალების იმედი: როგორც შევედი აბანოში და სითბომ მიაწია 45/0 გრადუსამდე, იმ წამს ვიგრძნე, რომ მოვედი ჩვეულებრივ მდგომარეობაში და გაეთავისუფლდი ყოველი სენისაგან.“

ეს ყოველი თუ მართალია, რაღა ლაპარაკი უნდა, რომ ამ ბუისონის ექიმობას დიდი მნიშვნელობა ექნება ექიმობაში, რადგან ექიმებმა არ იციან ჯერ არც ერთი ბეჯითი ცოფიანობის მოსარჩენი საშუალება. ჩვენში, ყველამ იცის, რა ხშირად ცოფდებიან ძაღლები და იმათგან კაცებიც და რა საშუალებას (მარჩიელები-შელოცვას) ხმარობენ ხოლმე ამ შემთხვევაში.—

რძის მწვანე ლაქები.

თუ რძე ცუდ ადგილას არის შენახული, იმას მოადგება ხოლმე ზევით მწვანე ლაქები; მწვანე ლაქები პატარა, თვალით დიუნახავი სოკოებია. ასე გამწვანებული რძე, კაცმა არ

უნდა იხმაროს, თორემ აენებს, მრთხელ ვიყავი ბაში ეხმარათ ამისთანა რძე ერთს დედაკაცსა და ორს მისს ქალებს; ცოტახნის შემდეგ სამივეს აუვარდა გულის რევა, მუცლის ტკივილი და კიდევ გააცივათ. შმარი და ორი პატარა ბავშვები, რომელთაც არ დაელიათ ეს რძე, არ გამხდარიყენენ ავთ. ექიმმა მისცა ავთამყოფებს პირიდან სასაქმებელი წამალი და რამოდენიმე დღის შემდეგ ისინი ძლივს ძლიობით მორჩნენ.—

დაობებული პურის ენება

მრთი კაცი თავის ცოლით და შვილით საღაც ყოფილიყო და ორი კვირის შემდეგ დაბრუნებულიყო შინა. იმათ მოენახათ კიღობანში შინ გამომცხვარი დაობებული პური, გაეწმინდათ, რაც შეიძლებოდა, და შეეჭამათ. იმწამს სამივე გახდა თურმე ავთ; იმათ თავი ეტკინათ, გული აერიათ და სხვ. ექიმმა როგორც იყომოარჩინა ცოლი და ქმარი; ბავშვი კი, ბევრი წვალების შემდეგ, მოკვდა.—

სამეურნეო აბაზები.

აბრეშუმზე.

როგორც ჩვენში, ისე უცხო ქვეყნებშიაც დაიკლო ხოლმე რამდენიმე წელიწადია აბრეშუმის მოსავალმა. რასაკვირველია ყველგან ეძებენ საშუალობას, რომ აიშორონ რამე რიგათ ეს ზიანი. შრანციაში ზოგიერთი მეოჯახეები, თუთის მაგიერად აბრეშუმის ქისის სარჩენად, ხმარობენ ახლა ერთ ეკლიანი მცენარის ფურცლებს, რომელსაც ჰქვია ლათინურად *Maclura aurantiaca* — მკლიანი მაკლურა. იქაური მეოჯახეები გვარწმუნებენ, რომ ის აბრეშუმის ქიები, რომელნიც ამ ხის ფურცლებით იყენენ გაზდილნი, არ წახდნენ და იმათგან კარგი აბრეშუმიც გამოვიდაო; და რომელნიც თუთით იყენენ გაზდილნი, ისინი კი თითქმის სულ გაფუტდნენო. მრთმა მეოჯახემ — უ. ბალტემ ერთ და იგივე დროს ზოგი ჭია გამოზარდა მაკლურის ფურცლებით და ზოგი კი თუთით. შ. ბალტე ამბობს, რომ რომლებიც მაკლურით იყენენ გამოზდილნი, ყველა გარდურჩა ავთამყოფობასაო და იმათ კარგი აბრეშუმიც მოიყვანესო და რომელნიც თუთით, იმათ კი არ ივარგესო.— მსხე ფრანციაში ძლიერ გავრცულებულიაო, ამბობენ; რადგან ფრანციისა და საქართველოს ჰავის



შუა ბევრი განსხვავება არ არის, მაშასადამე ჩვენშია ცუნდა იყოს ეს ხე და თუ არ არის შეიძლება მოაშენოს კაცმა.—

ამერიკაში ნიუ-იორკში „სამეურნეო საზოგადოებამ“ გარდასწყვიტა, რომ კარგი ჯინსიანი პირუტყვის უცხო ქვეყნებიდან შემოყვანისათვის—არ უნდა გარდახდეს არაფერს ბაჟი; რადგან ჩვენთვის კარგი ჯინსიანი პირუტყვის გამრავლება ძირიელ სასარგებლოა და ამ ბაჟიდან მმართველობას შემოსავალი კი ცოტა აქვსო.—

ჩიტის მოშენება იტალიაში.
იტალიაში ძლიერ გავრცელებულია ჩიტის (ბელურას) მოშენება; იტალიელები ახერხებენ ამას ისე, რომ ჩიტის გამრავლება პურს არ აფერხებს; იმათ შენიშნეს, რომ ბლარტებს დედა მარტო ბუზანკლებით არჩენს და ხორბალს კი სანამ ისინი ბუდეში არიან პირს არ ახლებენ; როცა ბლარტები იმოდენად წამოიზდებიან, რომ ბუდიდან გამოფრენას დაპირებენ, იტალიელები მივლენ, და ამოიყვანებენ ხოლმე იმათ იმ დროს ბუდიდან და სჭამენ. ისინი ჩიტისათვის აშენებენ პატარ-პატარა კოშკებსა და იქ უკეთებენ საბუდე ადგილებს; ამ კოშკებში აკეთებენ ხოლმე ბუდეს ბევრი ჩიტები ერთათ, და როცა ბლარტები წამოიზდებიან, ისინი, როგორც ზევით ვთქვით, წაუსმენ იმათ ხელსა და ღიღის გემოვნებითა სჭამენ.—

პრუხის ტილები.
პრუხი ხშირად გამოდის ხოლმე საბუდარიდან და იქეჭება მტვერში, ისეთ ნაირად რომ კაცს ეგონება-ბანობსო. ამას კრუხი იმიტომ შერება, რომ ტილები აწუხებენ და უნდა რამე რიგათ ისინი მოიცილოს; ამის გამო ის არ უნდა დაამწყვდიოთ ხოლმე არასოდეს საბუდარში ღიღხანს, თორემ ტილები შესჭამენ; კრუხი ხშირ-ხშირად უნდა გამოაუშვათ საბუდარიდან და ან საბუდარშივე დაუყაროთ, ან დაუდგათ რაშიმე, მტვერი.—

სამაჰრო. ცნობები.

ქუთაისის უეზდის სამმართველოში 20 მაისისთვის დანიშნულია ვაჭრობა ქვრივი ანისტასია მღვდელის ქუთაისის მამულის გასასყიდათ; მამული, რომელიც იყიდება კ. ბარნაბა ლორთქიფანიძის ვაღის (400 მ.) გარდასახდელად, შეიცავს სამოსახლო ადგილს და მახე აშენებულ ხის შენობებს და დაფასებულია ორას ოც და ხუთ მანეთად (225 მ.) ამ მამულის შეძენის მსურველს შეუძლია დანიშნულ დროს მივიდეს ქუთაისის უეზდის სამმართველოში და ნახოს იქ შემოხსენებული მამულის აღწერა და სხვა ამ საქმის შესახები ქაღალდები.

ქვეყნის აქეთა მხრის პრიკაზის განკარგულებით ამ წლის 11 ივლისისთვის დანიშნულია ვაჭრობა ქვემოხსენებულთ ბორის და ლუშეთის უეზდის მე-ბატონების მამულის გასასყიდათ პრიკაზის ვაღის გარდასახდელად: 1) აზნაური იოსებ ივანეს ძის წინამძღვაროვისა; 1859 წ. 1750 მანეთში დაგირაგებულია მისი ლუშეთის უეზდის, სოფ. ხუბრიანთ-კარის მამული. მართა სარიდონოვისა—მზაიაშვილის ქალი-სა; 1858 წ. 1000 მანეთში დაგირაგებულია ვენახი, წისქვილი, და ლუშეთის უ., სოფ. ახატანში-დუქნები 3) აზნაურის ილია სოლომონის ძის თურქისტანოვის 1859 წ., 2500 მანეთში დაგირაგებულია მისი მამული ბორის უეზდის, სოფელს ტელაღორს. 4) პოდპარუჩიკის კნ. ასლან ნიკოლოზის ძის თარხან-მოურავის, 1860 წ. 2,000 მანეთში დაგირაგებულია მისი 3 ვენახი ბორის უეზდის სოფლებში ახალქალაქს და ძეთისხევს.—ამ მამულის შეძენის მსურველს შეუძლია მივიდეს დანიშნულ რიცხვს ლუშეთის და ბორის უეზდის სამმართველოებში და ნახოს შემოხსენებული გასასყიდი მამულების აწერა.

ღარჩენილი ჩერქეზი.

I.

შე ზღვის პირს ვიყავ ერთხელ მავალი, მსჭვრეტლი—შფოთავდა მღვლეარე წყალი; მაგრამ მე გრძობა სხვამ რამ მომტაცა და ჭაბუკს მოვკარ უეცრად თვალი, ჭაბუკი იყო ტყილად მძინარე იმ დროს, როდესაც მე ჩავიარე;— არ მიქნა გულმა. მინდოდა მეცნო და ხმის გაწყვეტით მას მივეპარე, მაგრამ გამოვიღა, წამომივარდა,

მრისხანე სახით ჩამტკერებოდა **პროვინცი** და გოცებით უკან იხევდა, **გიორგიოთი** თითქოს გაქცევას ეშვადებოდა

II.

მე ვუთხარ, ძმაო, რა დამართნია, რომ შიში მულამ გულს ჩაგვარდნია; რისთვის გიფეთქავს, ჭაბუკო, გული და ჩემებრ ძმისა, რად გეშინია?!— ამოიოხრა და მითხრა: „ძმებო არ მყვანდა, ძმაო, მე საძებარად, ახლა, შენც ხედავ, უძმოთა ვკვდები და არც ვარგავრთ ძმებთა სახმარად... აი! ამ ზღვათა ჩემი მშობლები, ჩემი ძმები და აზნაგები წავიდნენ ერთთ შორს ქვეყანაში და მე აქ მარტო დავიარები. ბედმან ჩამადლო მწუხარებაში, ჩემი სიცოცხლე რალს ვარგია, რადგანც ძმები და სამშობლო მხარე ღმერთს ჩემთვის ყველა დაუკარგია! მაშ რალა არის მისი ცხოვრება, შინც ჩემებრ მოძმეს არ ეხმარება? მერწმუნე, ძმაო, მას დაუკარგავს ამ სოფლიური დანიშნულება.

III.

როს გაათავა იმან ეს გრძნობით, აღმევსო გული საკლავ სიტყვებით, მაშინ მან მხარზე გადადგო თოფი და მითხრა: „ძმაო აწ კი მშვიდობით“! მორჩა—გათავდა.—ჩემი ჭაბუკი გზასა გაუდგა დაუიქრებული, ამოიხენემა საწყალობელმა და მეც დამტოვა დაღონებული. მაგრამ შევსწირე უფალს მადლობა მისთვის, რომ ვნახე მე ერთი სული, რომელსაც ჰქონდა კეთილი გრძნობა და მოძმებისა ღრმა სიყვარული.

გ. ჰალადიდელი.

ქუთაისის 1869 წ.

კერძოობითი განცხადება.

პეტერბურლის უნივერსიტეტში ნამყოფს სტუდენტს ჰსურს უროკები აძლიოს. სოფელში ან დაჩაში წასვლის თანახმად არის.—ადრესსი: მელიქიშვილის და კ. სტამბაში, ხანის ქუჩაზედ.—